პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 154 (1324) ○ ხუთშაბათი 25 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი ○ ფასი 30 კაპ.

ლ. ვოლპერტი

კ. ზვორიკინა

ნ. გაფრინდაშვილი

## ხარკოვი, XX ჩემპიონატი

ხ ა რ კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით 22 დეკემბერს დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო საღამოს შემდგა ჩემპიონატის დასკვნითი, XXI ტური, სადაც ჩაიკოვსკაიამ მოუგო მალინოვას, ფილანოვსკაიამ — გოიჰენბერგს. ზვორიკინა-იაკირის, ვოლპერტ-ტოგონიძის, გაფრინდაშვილი-ბორისენკოს, კუშნირ-ზატულოვსკაიას, გურფინკელ-იგნატიევას, კაკაბაძე-როოტარეს, ბიკოვა-ტიხომიროვასა და რუბცოვა-სტრანდსტრემის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, დამთავრდა საბჭოთა კავშირის XX ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ლ. ვოლპერტმა და კ. ზვორიკინამ, რომლებმაც 14-14 ქულა დააგროვეს. მესამე ადგილზეა ნ. გაფრინდაშვილი (13,5 ქულა), მეოთხეზე — ტ. ზატულოვსკაია (12,5 ქულა). დანარჩენი შედეგები იხილეთ მე-3 გვერდზე მოყვანილ ცხრილში.

23 დეკემბერს ხარკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. ჩემპიონატის შედეგების შესახებ სიტყვით გამოვიდა მთავარი მსაჯი ტ. კრიუკოვა. საერთაშორისო არბიტრმა ლ. გარკუნოვმა ბრინჯაოს მედალი გადასცა ნ. გაფრინდაშვილს.

ოქროს და ვერცხლის მედლები გადაეცემათ ლ. ვოლპერტსა და კ. ზვორიკინას მათ შორის ჩემპიონის გამოსავლინებელი დამატებითი მატჩის შემდეგ.

ლამაზი პარტიისა და უკანასკნელ ექვს ტურში საუკეთესო შედეგისათვის (5 ქულა) გაზეთ „კრასნოე ზნამიას“ სპეციალური ჯილდოები გადაეცათ ე. კაკაბაძეს პარტიაში რუბცოვასთან და აჭარის ჩემპიონ ა. ჩაიკოვსკაიას. გაზეთ „სოციალისტიჩნა ხარკოვშჩინას“ ჯილდოები მიიღეს მალინოვამ და ზატულოვსკაიამ, როგორც ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა, ოსტატებთან შეხვედრებში ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობის მოგროვებისათვის.

## კვლავ ვიხილოთ ისინი გამარჯვების კვარცხლბეკზე

ჩვენს რესპუბლიკას მდიდარი ისტორიული წარსული აქვს ჭიდაობაში. სპორტის ეს ეროვნული სახეობა უხსოვარ დროიდან მოჰყვება ქართველ ხალხს და ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულითაც სარგებლობს. რაოდენ სიხარულს განვიცდიდით, როცა ჩვენი ფალავნები საკავშირო სარბიელს გასცდნენ და მსოფლიო სახელი მოიპოვეს. მაგრამ სახელის მოხვეჭა ერთი საქმეა და მისი შენარჩუნება, მეორე. აი სწორედ ამ მეორე საკითხზე გვინდა ვესაუბროთ ჩვენს მკითხველებსა და სპორტის ამ სახეობის მესვეურთ.

როცა საქართველოს გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში სამარცხვინოდ ჩავარდა, ყველამ იმედის თვალი კლასიკურ მოჭიდავეებს მივაპყარით. „რევანშს ესენი აიღებენ“, „სირცხვილს არ გვაჭმევენ“, „ორივე შემადგენლობა ძლიერია“ — ამბობდნენ ჩვენი მწვრთნელები და სრული იმედი ჰქონდათ იმისა, რომ გუნდი პირველ სამეულში მაინც მოხვდებოდა. აი ასეთი რწმენით გავაცილეთ იგი ლვოვში.

გუნდმა დაიწყო ბრძოლა... მაგრამ პირველ ტურშივე გავწბილდით. ცნობილმა მოჭიდავემ სიხარულიძემ ტრავმა მიიღო, შეჯიბრებას გამოეთიშა და გუნდს 84 საჯარიმო ქულა დაუტოვა. პირველი ადგილი გუნდისათვის ფაქტიურად უკვე მიუწვდომელი იყო. მეორე „საჩუქარი“ გუნდმა უმძიმესი წონის მოჭიდავის ზ. შეყრილაძისაგან მიიღო. თუ პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გაუთვალისწინებელ შემთხვევას, ამჯერად ყველაფერი წინასწარ განზრახული იყო. მსაჯთა გადაწყვეტილებით განაწყენებულმა შეყრილაძემ, რომელსაც სამი შეხვედრა სუფთად ჰქონდა მოგებული, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს და შეჯიბრებიდან მოხსნეს. გუნდმა მიიღო დამატებით 40 საჯარიმო ქულა. ამას დაერთო ის, რომ ზოგიერთი მოჭიდავე სარბიელზე უპასუხისმგებლოდ იქცეოდა, ან მზად არ იყო შეჯიბრებისათვის. მაგალითად, ჩიტიაშვილი გამოვიდა მეოცე ადგილზე, ძნელაძე — მეთვრამეტეზე. მძიმე წონის მოჭიდავე კანდელაკი მეცამეტეზე და საერთო ჯამში მეტად სავალალო შედეგი მივიღეთ — მე-6 გუნდური ადგილი დავიკავეთ. დაგვიმარცხეს მსოფლიო ჩემპიონი რ. აბაშიძეც. ზ. შეყრილაძის უდისციპლინობა რომ არა, გუნდი აუცილებლად საერთო მესამე ადგილს დაიკავებდაო — განაცხადეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელებმა. მაგრამ როცა ზ. შეყრილაძე გუნდში შეჰყავდათ, შეამოწმეს მისი მორალური ნებელობითი ხასიათები? რასაკვირველია, არა. არა მარტო შეყრილაძე, სხვებიც არ ბრწყინავენ ამ მხრივ ხშირად გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ უზრდელი, გაუნათლებელი, არაკოლეგიალური სპორტსმენი გუნდის ხორცმეტია, რომ იგი უნდა განიდევნოს გუნდიდან, რაგინდ მაღალი სპორტული მონაცემებიც არ უნდა ჰქონდეს მას.

ახლა ბევრი ასეთი აზრისაა: კლასიკური მოჭიდავეები შვეციის გუნდთან გამარჯვების შემდეგ რეაბილიტირებულნი არიანო. ეს ნაწილობრივ მართალიცაა. კარგად გამოვიდა მთელი გუნდი და ზ. შეყრილაძეც, რომლის უტაქტო საქციელმა ლვოვის ჩემპიონატში გუნდი მე-6 ადგილზე გადაისროლა. მაგრამ ერთ მატჩში გამარჯვება ჩემპიონატში გამარჯვებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება. ჩვენ გვინდა, რომ გუნდს ჰქონდეს სატურნირო გამოცდილება, ფიზიკური სიძლიერე, ტაქტიკური აზროვნების უნარი. ჩვენ გვინდა გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე საქართველოს დელეგაციას საჭირო ქულებს მისცემს. მაშასადამე, სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ტექნიკური ილეთების დახვეწასთან ერთად საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას. კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკურმა სექციამ, რომელმაც უახლოეს დღეებში უნდა განიხილოს თავის გაფართოებულ სხდომაზე საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობის შედეგები, დროა თავი დაანებოს ლიბერალობას და მკაცრად მოჰკიდოს ხელი გუნდის დაკომპლექტებას, მისი წვრთნის კონტროლს.

ორიოდე სიტყვა თავისუფალ ჭიდაობაზე. დღეს თბილისის ცირკში შედგება სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეჯიბრება — ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. აი, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებსაც მიეცათ რეაბილიტაციის საშუალება. დაე, სარბიელმა დაგვანახვოს მათი შნო და უნარი. დაე, რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დარწმუნდეს, რომ საქართველოში „კიდევაც დაიზრდებიან“ ფალავნები და კიდევაც ვიხილავთ მათ ჩემპიონის კვარცხლბეკზე.

## დაძაბული მატჩი

მ ო ს კ ო ვ ი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მე-19 ტურში ყურადღების ცენტრში იყო გათამაშების ლიდერების მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკმო-ს შეხვედრები. დინამოელები თამაშობდნენ ლიხაჩოვის სახ. ავტოქარხნის წყალბურთელებთან. მატჩი დიდი უპირატესობით მოიგო „დინამომ“ — 7:1. ამ გუნდის ლიდერმა პ. მშვენიერაძემ 4 ბურთი გაიტანა.

არმიელთა გუნდი თამაშობდა თბილისის „დინამოსთან“. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს თბილისელებმა. გვახარია ორჯერ ზედიზედ ახვედრებს ბურთს კარის ძელს. ანგარიშის გახსნისათვის ხელსაყრელ მომენტს ვერ იყენებს ჩხიკვაძეც. მე-4 წუთზე ლენინგრადელი მსაჯი რუდნევი ნიშნავს 4-მეტრიან საჯარიმოს თბილისელთა კარში. ანგარიშში წაიყვანა ცსკმო-მ 1:0. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე გვახარიას ძლიერ დარტყმას მოსკოველთა მეკარე გოიჰმანი იგერიებს პირით ხაზს უკან. იმავე წამს გვახარია-ჩიქვანაიას ლამაზი კომბინაცია მთავრდება ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით — 1:1.

მეორე ნახევარში თბილისელები ცვლიან ტაქტიკას. ისინი კონტროლის ქვეშ იღებენ მთელს მოედანს და მოწინააღმდეგეს არ აძლევენ ბურთის დაუფლების საშუალებას. ანგარიში 1:1 შეხვედრის ბოლომდე უცვლელი რჩება.

ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების დამატებითი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. თბილისის „ბურევესტნიკი“ დაამარცხა კიევის სკიფმა — 0:5, ხოლო დედაქალაქის „შრომითი რეზერვები“ — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, — 1:5. ლენინგრადის სკიფისა და ლვოვის „დინამოს“ შეხვედრის ანგარიში — 2:2.

* * *

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 დეკემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 19 | 17 | 2 | 0 | 82:35 | 36 |
| ცსკმო | 19 | 14 | 3 | 2 | 74:34 | 31 |
| უნივერს. მ. | 19 | 14 | 2 | 3 | 67:36 | 30 |
| „დინ.“ თბ. | 19 | 14 | 1 | 4 | 72:43 | 29 |
| კკფ | 18 | 9 | 2 | 7 | 63:46 | 20 |
| სკიფი ლ. | 19 | 7 | 4 | 8 | 59:52 | 18 |
| ზილ მ. | 19 | 7 | 4 | 8 | 54:51 | 18 |
| სკიფი კ. | 19 | 7 | 2 | 10 | 53:56 | 16 |
| საზღ. სას. ლ. | 19 | 4 | 3 | 11 | 37:46 | 11 |
| „შრ. რეზ.“ მ. | 19 | 5 | 0 | 14 | 58:79 | 10 |
| „დინამო“ ლვ. | 19 | 2 | 3 | 14 | 48:74 | 7 |
| „ბურ“. თბ. | 19 | 0 | 0 | 19 | 31:137 | 0 |

* * *

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცხრილში არ არის შეტანილი კკფ (ბაქო)-სა და ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდების თამაშის შედეგი.

## ბუდაპეშტის „ჩეპელი“ თბილისში

ამ დღეებში დედაქალაქს ეწვევა უნგრეთის კალათბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი, ბუდაპეშტის „ჩეპელის“ ვაჟთა გუნდი. სპორტული დელეგაციის შემადგენლობაშია 17 კაცი: დელეგაციის ხელმძღვანელი ანტონ კელემენი, მოადგილე — ლუდვიგ კნიზერი, ადმინისტრატორი — ვიქტორ მიკლოში, მწვრთნელი — ერნე იუნია, მსაჯი — შტეფან საბო, ექიმი — იოზეფ საბო. გუნდი წარმოდგენილია 11 მოთამაშით: ვლადისლავ ბუდიში (№ 3), ბილა საბონაში (№ 4), არპად გლოცი (№ 5), შტეფან შაინტუტი (№ 6), შტეფან მელიცხარცკი (№ 7), ტომაშ ლაცოდი (№ 8), შტეფან ლიპტაი (№ 9), ბლაშ ბალინდი (№ 10), შტეფან კოლოში (№ 11), ტეოდორ ტიოგეში (№ 12), ფერენც დერვოლიჩი (№ 13). ამ გუნდის ხუთი წევრი გამოდის უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში. ესენი არიან: არპად გლოცკი, შტეფან შაინტუტი, ტომაშ ლაცოდი, შტეფან ლიპტაი და ტეოდორ ტიოგეში (ამავე დროს „ჩეპელის“ კაპიტანი).

უნგრელი კალათბურთელები თბილისში ჩაატარებენ სამ ამხანაგურ შეხვედრას 28, 29 და 30 დეკემბერს.



ამას წინათ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში.

სურათზე: ტანმოვარჯიშე რ. სისოევა („ბურევესტნიკი", სარატოვი) ასრულებს ვარჯიშს.

ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა საზოგადოება „ბურევესტნიკის" (კიევი) წევრმა ე. ბირიუკმა.

სურათზე: ე. ბირიუკი ასრულებს ვარჯიშს. ფოტო ლ. დორენსკისა.

## უმაღლეს სასწავლებლებში

# ჩვენი სპარტაკიადა

დამთავრდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა IX ტრადიციული სპარტაკიადა. კროსის სტარტზე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის 422 სტუდენტი გამოვიდა. ქალთა შორის 2-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ი. ლაპტევამ. ვაჟთა შორის 8 კილომეტრზე პირველი იყო მ. ჭინჭარაული (ეკონომიკის ფაკულტეტი). ეკონომისტებს დარჩათ გუნდური გამარჯვებაც. ცურვაში უძლიერესები იყვნენ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები.

საინტერესოდ წარიმართა კალათბურთელთა შეხვედრები. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ვაჟთა გუნდმა კვლავ მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი საუკეთესო იყო ქალთა შორის. მძლეოსანთა ორკვირიანი ბრძოლის შედეგად გუნდური პირველობა წილად ხვდათ ბიოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენლებს. ფრენბურთელთა შეხვედრებში მომავალმა ფიზიკოსებმა გაიმეორეს შარშანდელი შედეგი და კვლავ მოიპოვეს პირველი ადგილი, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის.

ნოემბრის შუა რიცხვებში სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში ჩაებნენ მოჭიდავეები და ძალოსნები. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ იურიდიული ფაკულტეტის მოჭიდავეები პირველობას არავის დაუთმობდნენ, რადგან აქ სწავლობენ საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები ო. კანდელაკი, ა. სიხარულიძე, გ. ჩიტიაშვილი, ა. ბეროზაშვილი. ასეც მოხდა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ეკონომიკის ფაკულტეტის წარმომადგენლები.

ძალოსანთა პირველობაზე ქვესაშუალო წონის სპორტსმენმა, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ტ. წერალოვმა აჭიმა 115 კგ და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ახალი რეკორდი დაამყარა. გუნდური პირველობაც ამავე ფაკულტეტს ხვდა წილად.

17-მა სტუდენტმა შეასრულა სათანრიგო ნორმები ტყვიით სროლაში. სპორტის ამ სახეობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 გუნდმა, გამარჯვება 854 ქულით მოიპოვეს ფილოლოგებმა. მოჭადრაკეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზიკისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების მოჭადრაკეები. ფიზიკოსებმა სძლიეს თავიანთ მოწინააღმდეგეებს და აიღეს რევანში შარშანდელი წაგებისათვის.

ამ გამარჯვებით ფიზიკის ფაკულტეტის სპორტსმენთა კოლექტივმა სპარტაკიადაში მოიპოვა საერთო პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამეულში მოხვდა აგრეთვე მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

სპარტაკიადამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. უნივერსიტეტის ბევრმა ძლიერმა სპორტსმენმა არ მიიღო მონაწილეობა მასში. სპარტაკიადის პროგრამაში არ იყო შეტანილი სპორტის ისეთი სახეობანი, რომელიც ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი.

მომავალ წელს უნივერსიტეტის სპორტსმენებს მოელით რიგით მე-10 საიუბილეო სპარტაკიადა. ისინი აქედანვე უნდა ემზადონ ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

**ო. ნოზაძე**

# ღია კრებაზე

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამას წინათ გაიმართა ღია პარტიული კრება, რომელმაც მოისმინა ინსტიტუტში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხი. მოხსენებით გამოვიდა ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის გამგე დ. მაჭავარიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ კათედრამ 1958 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის და მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ შეჯიბრებებში, სადაც არაერთი საპრიზო ადგილები მოიპოვა.

კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა პროფესორ-მასწავლებელთა შორის.

ღია პარტიულმა კრებამ ინსტიტუტში ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიიღო სათანადო დადგენილება.

**ბ. კოპაძიძე**

# დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთის დიდება

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ფეხბურთის განვითარებაზე საქართველოში, ძირეულ კოლექტივებზე, მოზარდებზე, რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე და „ბ" კლასის გუნდებზე, სულ ერთია, ბოლოსდაბოლოს მთელი ამ აღმავალი ჯაჭვის დასასრული მაინც თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდია. ესაა ჩვენი რესპუბლიკის სახე საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე და შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პირველი გუნდის ავი და კარგი, მისი აწმყო და მომავალი მხოლოდ სპორტსაზოგადოება „დინამოსი" კი არა, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა. ქართული ფეხბურთის დროშა ჩვენ თბილისის „დინამოს" ჩავაბარეთ და უფლება გვაქვს პასუხი მოვთხოვოთ მას.

და აი გუნდი, რომელიც უწინ ქართული სპორტის დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენდა, გუნდი, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საბჭოთა კავშირში, დღეს იბრძვის არა ჩემპიონის ტიტულისა და თასისათვის, არამედ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ადგილი „ა" კლასში. უკვე მეხუთე წელია ჩვენი გუნდის ადგილი განკუთვნილია ცხრილის მეორე ნახევარში და საქმე მარტო ადგილში არ არის — გუნდი აშკარად დაქვეითდა. მან დაჰკარგა თავისი ტრადიციები, ორიგინალობა. დაჰკარგა საკუთარი სახე. ამჟამად ესაა „ა" კლასის რიგითი, „ჩვეულებრივი" კოლექტივი. რომელსაც თამაშის მინერით ვერ გამოარჩევ სხვებისგან და შეიძლება ითქვას — თბილისის „დინამო" ზოგიერთ სხვა ასეთივე „ჩვეულებრივ" გუნდზე უარესიცაა.

ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ დინამოელები მიეჩვიენ იმას, რომ მათ სხვები უშველიან და არავინ სერიოზულად არ ჩაუფიქრდა იმას, რომ კრიზისი სერიოზული და ხანგრძლივია. თითო-ოროლა ასაკს მიღწეული ფეხბურთელი ყოველთვის გადიოდა ამ გუნდიდან, მაგრამ მათ ნაცვლად სისტემატურად მოდიოდნენ სხვანი და ჩვენში ყოველთვის ასე იყო დაწესებული, რომ „დინამოს" ოსტატთათვის კადრი სხვას უნდა მოემზადებინა და არა თვითონ ამ კოლექტივს.

და აი ეს „სხვა" ფეხბურთიც, საიდანაც „დინამოში" უმაღლესი ხარისხის ცვლა მოდიოდა, ამოიწურა. უკვე რამდენი ხანია ვერ მოვძებნეთ შესაფერისი მოთამაშეები რესპუბლიკის გუნდებში. „დინამომ" რეზერვი ვეღარც სხვისაგან მიიღო და საკუთარიც ვერ აღზარდა.

წარსულში „დინამოს" ყოველთვის ჰყავდა თავისი კადრი (შ. შავგულიძე, მ. ბერძენიშვილი, ვ. ბერძენიშვილი, ა. დოროხოვი, ნ. სომოვი, თ. გავაშელი, ა. ტყეებუჩავა, გ. გაგუა და სხვ.), რომელიც ქმნიდა ძირითად ბირთვს, ხოლო გუნდში ახლად მოსულები სწრაფად ითვისებდნენ მათ ტრადიციებს. მაგრამ მოწვეულმა ხალხმა დაკარგა ეს ტრადიციები და კოლექტივის პატრიოტიზმი. მათ ვერ შეითვისეს „დინამოს" თავისებურება ეს გასაგებიცაა: მოწვეული ხალხი სისხლ-ხორცეულად არ იყვნენ დაინტერესებული გუნდის ადამიანის უკლებლივ შენარჩუნებაში. აი ამის გამო, რომ თბილისის „დინამომ" დაჰკარგა თავისი სახე და სხვებს დაემსგავსა.

„დინამოს" ძველ ხელმძღვანელობას არა ჰქონდა შეგნებული მეორე გუნდის უდიდესი როლი ჩვენი ფეხბურთისათვის. თბილისის მეორე გუნდს „ა" კლასში იგი უყურებდა, როგორც თავის კონკურენტს და არა კოლეგას, რომელიც პირველ ყოვლისა მასვე შეუწყობდა ხელს ჩრდილოეთის გუნდებთან ბრძოლაში. ყველამ კარგად იცის, თუ როგორ უჭირდათ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს ორ-ორჯერ თამაში თბილისში.

უძლიერეს ჯგუფში წარსულში ჩვენ გვყავდა „ლოკომოტივი", „სპარტაკი", მაგრამ „დინამოს" მაშინდელი ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა გადაებირებინა აქედან მოთამაშეები და დაშლის პირამდე მიეყვანათ ესინი, და ბოლოსდაბოლოს აღწევდა კიდეც მიზანს. ვიმეორებთ, მეორე გუნდი თბილისიდან „ა" კლასში დიდ სარგებლობას მისცემს ქართულ ფეხბურთს.

რამდენიმე სიტყვა მოთამაშეთა მოძრაობის შესახებ ერთი გუნდიდან მეორეში. ფაქტია, ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ჩვენ გვგაჩნია „დინამოსთვის" უნდა იყოს, რამდენადაც იგი რესპუბლიკის პრესტიჟს იცავს დიდ სარბიელზე და მოთამაშის პროგრესი ძირეული კოლექტივიდან უმაღლეს საფეხურამდე არ უნდა შეფერხდეს, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში მოთამაშეთა მოძრაობა ვეგმაზომიერად არ ხდება მოთამაშეებს არჩევენ ნაუცბათევად, ერთი ხელის მოსმით და უმეტეს შემთხვევაში ასეთ გადაადგილებათა შემდეგ ფეხბურთელი ფაქტიურად იმ კაცის მდგომარეობაში ვარდება, რომელმაც ერთი ნაპირიდან გაცურა და მეორემდე ვერ მიაღწია. ესინი ცდილობენ თავიანთ კოლექტივს, ხანგრძლივად ხელიდან სათადარიგო მოთამაშის საკმაზე და მხოლოდ იმის შემდეგ იწყება მისი მოძრაობა იგივე გზით, მაგრამ... საწინააღმდეგო მიმართულებით — ოსტატებიდან — დაბლა. ავიღოთ მაგალითისათვის თბილისის „სპარტაკი". 1951 წელს, როცა გუნდი ზენიტში იმყოფებოდა, „დინამომ" წაიყვანა კ. გაგნიძე, ა. კილაძე, ა. პაიჭაძე და შემდეგ სხვებიც. „სპარტაკმა" გამოუსწორებელი დანაკარგი განიცადა, ხოლო „დინამოს" მთელი ამ მასიდან მხოლოდ კ. გაგნიძე გამოადგა.

მოთამაშეთა გადაყვანისას ქვევიდან ზევით, მომავალში გვმართებს მეტი სერიოზულობა და დაკვირვებულობა. „დინამოს" გამდიდრება არ უნდა ხდებოდეს სხვათა გაღარიბების ხარჯზე. „დინამოს" უნდა გადაეცეს ის, ვინც მისთვის გამოსადეგია.

1958 წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამომ" დაიკავა ერთობ არასახარბიელო ადგილი — მეცხრე. მიუხედავად ამისა, საკავშირო პრესა, საფეხბურთო საზოგადოებრიობა გუნდს დიდი სიმპათიით უყურებდა და კარგ მომავალს უქადდა. ცენტრალურ პრესაში მეტწილად ლაპარაკი იყო არა გუნდის ჩაარდნაზე, არამედ იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა მოთამაშეები მომავალში სრული ძალით გამოავლენენ საკუთარ თავს.

მაგრამ ჩვენს საზოგადოებრიობას უფრო დეტალურად აინტერესებს, თავისი გუნდის ბედ-ღბალი და მომავლის იმედზე ისე ვერ დარჩება, თუ არ ექნა დაშვებულ შეცდომათა ანალიზისა და გამოსწორების გარანტია. შეცდომები კი, ფაქტია, არის.

სეზონის დასაწყისისათვის დინამოელებმა საგრძნობლად განაახლეს შემადგენლობა ახალი ფეხბურთელების ხარჯზე და ნაცვლად იმისა, რომ მაშინვე დაეწყოთ წერთნა მათ შეთამაშებაში და შეწყობაზე, რათა ადრევე მომხდარიყო შემადგენლობის სტაბილიზაცია, „დინამო" გაეგზავნა ბაკურიანში საერთო ფიზმომზადების ჩასატარებლად და ხელიდან გაუშვა საუკეთესო ამინდში მინდორზე წვრთნის შესაძლებლობა. შეცდომა გამეორდა შემდეგშიც: ბაკურიანიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი სამეცადინოდ დარბაზში შევიდა და დაკარგულს ახალი დანაკარგი მიუმატა კოლექტივის დაკომპლექტების საქმეში.

საწვრთნელ შეკრებაზე ლესელიძეში მწვრთნელებს ექსპერიმენტების ჩატარება მოუხდათ უშუალოდ გათამაშების დაწყების წინ. საბოლოოდ, გუნდი მოუმზადებელი გამოვიდა მინდორზე და პირველივე მატჩში განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:6. მოსამზადებელ პერიოდში დაკარგულის ანაზღაურება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, გუნდის ხელმძღვანელობამ სწორი დასკვნები არ გამოიტანა პირველი წარუმატებლობისაგან, ბევრი რამ შემთხვევითობას მიაწერა და არ მიმართა სასწრაფო, გადამჭრელ ზომებს. ამას დაემატა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმაც. კერძოდ, შემადგენლობიდან გავიდნენ ელოშვილი და ხოჭოლავა და ორივე ეს ადგილ კარგა ხნის განმავლობაში ფაქტიურად ღიად იყო დარჩენილი. თავიდან არასწორად იქნა გამოყენებული მეტად სასარგებლო ნახევარმცველი ა. კოტრიკაძე და მხოლოდ დიდი დაგვიანებით გამოიძებნ მარჯვენა მცველის ადგილზე ჩოხელი.

შეიძლება „დინამოს" მწვრთნელებმა თავი გამართლონ იმით, რომ მათ არა ჰყავდათ სათანადო ცვლა. მით უარესი, თბილისის „დინამოს" უნდა ჰყავდეს შესაფერისი რეზერვი. ასეთი დანაკლისისათვის გუნდი მუდამ მზად უნდა იყოს.

**ნ. ჩხეიძარაშვილი.**

**საკავშირო კატეგორიის მსაჯი**

**ბ. ჟორჟია.**

(დასასრული იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „ლელო" № 151, 152, 153.

# XX ჩემპიონატი

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბიბინაშვილი | 1 | | ½ | 0 | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 10 | |
| 2. ფოფორაძე | 2 | ½ | | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 9 | |
| 3. ბროდსკაია | 3 | 1 | 1 | | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 9½ | |
| 4. ბორისენკო | 4 | ½ | 1 | ½ | | ½ | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | 12 | V |
| 5. ფეხოფიროვა | 5 | 0 | ½ | 1 | ½ | | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | 9½ | |
| 6. ზაფუროვსკაია | 6 | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | 12½ | IV |
| 7. ბელინოვა | 7 | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 8½ | |
| 8. ფეიერვანოვსკაია | 8 | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | | 1 | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 9 | |
| 9. ლ. იაკირი | 9 | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 10 | |
| 10. ცაცანაშვილი | 10 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 5½ | |
| 11. ნისენბაუმი | 11 | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 1 | | 1 | ½ | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | ½ | 10 | |
| 12. რუბცოვა | 12 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 1 | 8 | |
| 13. ზვორიკინა | 13 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 14 | I-II |
| 14. გოიხენბერგი | 14 | 0 | ½ | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | ½ | 0 | 5 | |
| 15. ჩაიკოვსკაია | 15 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | 1 | 11 | VII |
| 16. ჯუფინირი | 16 | ½ | 1 | 1 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | 10½ | |
| 17. ბიკოვა | 17 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | | 1 | 0 | 0 | ½ | 11½ | VI |
| 18. გაფრინდაშვილი | 18 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | ½ | 0 | 1 | 1 | ½ | 0 | | 1 | ½ | 1 | 13½ | III |
| 19. კაკაბაძე | 19 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | | 0 | 1 | 9 | |
| 20. ვოლპერტი | 20 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | | 1 | 14 | I-II |
| 21. გურგენიძე | 21 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | 0 | 0 | 0 | | 8 | |

## ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

დღეს, როცა ყველას გვიხარია ქართველი ასულის ნონა გაფრინდაშვილის დიდი სპორტული გამარჯვება, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი არა მარტო დიდი ტალანტის გამოვლინებაა, არამედ დაუღალავი, სისტემატური, მიზანდასახული და შეუპოვარი შრომის ნაყოფიცაა.

საჭადრაკო ნიჭმა ნონაში ადრე გაიღვიძა. ჯერ კიდევ ხუთი წლის იყო იგი, როცა შეიტყო ჭადრაკის თამაშის ანბანი. ამას დიდად შეუწყო ხელი ოჯახში ჭადრაკით საერთო გატაცებამ, რასაც შეგნებულად აღვივებდა ოჯახის უფროსი ტერენტი გაფრინდაშვილი. შემთხვევითი როდია, რომ ნონას სამი ძმა პირველთანრიგოსნები არიან.

11 წლის იყო ნონა, როცა პირველად გამოვიდა საჭადრაკო სარბიელზე. მაშინვე მისმა თამაშმა მიიქცია გამოცდილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ყურადღება. 1954 წლიდან ნონა ზუგდიდიდან თბილისში გადმოდის, ხოლო 1956 წლიდან 15 წლის გოგონა, თბილისისა და საქართველოს ჩემპიონია. აქედან იწყება საკავშირო ასპარეზზე მისი წარმატებით გამოსვლა. ეს იყო დიდი ნიჭის სწორი გზით განვითარების ლოგიკური შედეგი. ჭადრაკის მოყვარულებს ალბათ არასოდეს არ დაავიწყდებათ 1956 წლის სპორტული სეზონი, როცა ნონამ ჭადრაკს აურაცხელი გულშემატკივარი შემატა. ახალი გამარჯვებით კი, რომელიც მან ახლახან ხარკოვში მოიპოვა, ქართული ჭადრაკის სიამაყე გახდა.

გვხიბლავს ნიჭიერი ქალიშვილის თამაშის სტილი. მას სწამს პირველ რიგში შეტევა, მეფეზე თავდასხმა და ამიტომ ზოგჯერ გაოცებული შეჰყურებ იმას, თუ რგორი ძალით მიეშურებიან მისი ფიგურები მოწინააღმდეგის მეფისაკენ. იგი ყველგან და ყოველთვის ეძებს კომბინაციებს. თამამად მიილტვის „ხელჩართული“ ბრძოლისაკენ, არ უყვარს ყაიმი.

ერთხელ ნონამ ამის თაობაზე მითხრა:

— მრცხვენია ყაიმის შეთავაზება, ვაი თუ იფიქროს, უარესი პოზიცია აქვსო და არ დამთანხმდეს. ამიტომ მირჩევნია ვითამაშო... მოგებაზე.

და ნონას თითქმის ყოველთვის ყველაზე მეტი გამარჯვება აქვს. XX ჩემპიონატშიც მან დაამყარა მოგებათა რეკორდი — 10 გამარჯვება. მაგრამ არ იქნება სრული, რომ არ აღვნიშნოთ ნონას შეუპოვარი დაცვის უნარი და სპორტული მებრძოლის ჩინებული სულისკვეთება. დაცვა ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია. ამიტომ თუ კი დაცვა აუცილებელია, ნონა არ გაურბის მას, მაგრამ ცალი თვალი კონტრთამაშისაკენ უჭირავს, რომელსაც როგორც წესი, მატერიალურ მსხვერპლს უკავშირებს და როგორც გრიგალი დაატყდება ხოლმე იერიშით გატაცებულ მეტოქეს.

ნონა კარგი სატურნირო მებრძოლიცაა. მის სახეზე ვერ ამოიკითხავთ განიცდის თუ არა იგი ბრძოლის პერიპეტიებს. იგი აუჩქარებლად, მშვიდად თამაშობს. არ მიაქვს გულთან ახალი წარმატება თუ მარცხი. ერთადერთი, რასაც იგრძნობთ მისგან, ესაა ჭადრაკისადმი დაუშრეტელი სიყვარული.

გაფრინდაშვილი მხოლოდ ჭადრაკით როდია გატაცებული. იგი ავტორიტეტით სარგებლობს ამხანაგებში. უყვარს ხუმრობა, წიგნების კითხვა, კინო, თეატრი. საინტერესოა, რომ მას არასოდეს იზიდავდა თოჯინებთან თამაში. უმეტესად მოძრავი თამაშები იტაცებდა, უფრო კი... ფეხბურთი. იგი თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარია და არც ერთ მატჩს არ აცდენს. გაფრინდაშვილი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

დიდი ნიჭისა და შრომის მეოხებით ნ. გაფრინდაშვილი (ახლა მისი მწვრთნელია ოსტატი მ. შიშოვი) გამოვიდა ფართო საჭადრაკო ასპარეზზე. XX ჩემპიონატში მან საერთაშორისო კლასის თამაში გამოავლინა, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ: უახლოეს წლებში ნონა იქნება მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

თ. გიორგაძე



## ᲖᲔᲓᲔᲤᲝᲜᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Ლ. ᲒᲐᲠᲙᲣᲜᲝᲕᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 დეკემბერს დილით ჩვენი გაზეთის რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ხარკოვში ნ. გაფრინდაშვილსა და ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილეს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ლ. გარკუნოვს. ქვემოთ მოგვყავს მათთან საუბარი.

ტელეფონთანაა ნ. გაფრინდაშვილი.

**რედაქცია:** მოგილოცავთ დიდ წარმატებას. გავიგეთ, რომ თქვენ ჩემპიონატის უკანასკნელ დღეებში ავად იყავით.

**გაფრინდაშვილი:** პირველ ყოვლისა, დიდად გმადლობთ მოლოცვისათვის, გთხოვთ, ჩემი გულწრფელი მადლობა გადასცეთ თქვენი გაზეთის მკითხველებს, რომლებიც მე და ჩემს მეგობრებს მანანას, ელისოსა და ალას გვამხნევებდნენ დეპეშებითა და ბარათებით.

როოტარესთან პარტიის წინ გავცივდი და სიცხე მქონდა. თამაშის დროს ვერ ვგრძნობდი თავს კარგად, ამიტომ, როცა როოტარემ ყაიმი შემომთავაზა, მივიღე იგი, თუმცა უკეთესი პოზიცია მქონდა. ბორისენკოსთან პარტია ექიმის განკარგულებით სასტუმროში ვითამაშე. ბორისენკომ მე-17 სვლაზე შემომთავაზა ყაიმი, რომელიც მე მივიღე. ამ პარტიის დემონსტრირება ხდებოდა სატურნირო დარბაზში.

**რედაქცია:** რას იტყვით ტურნირში თქვენი თამაშის შესახებ?

**გაფრინდაშვილი:** კმაყოფილი ვარ გურფინკელთან და იაკირთან გათამაშებული პარტიებით. კარგი მდგომარეობა მქონდა ნისენბაუმთან და ზატულოვსკაიასთან, რაც ვერ გამოვიყენე. ჩემპიონატში ყველაზე უკეთესად მიმაჩნია ე. კაკაბაძე-ო. რუბცოვას პარტია, რომელიც ალბათ სპეციალურ პრიზსაც მიიღებს.

ტურნირში მოპოვებული შედეგით კმაყოფილი ვარ.

ტელეფონთანაა ლ. გარკუნოვი

**რედაქცია:** ლევ პავლეს-ძევ, როგორ აფასებთ ტურნირის შედეგებს?

**გარკუნოვი:** ძნელია ორი სიტყვით ამის თქმა. ცხადია, რომ ჩემპიონატი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არც ერთ დიდ საერთაშორისო ტურნირს. ქალთა უფრო ძლიერი ტურნირი ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ გამარჯვებულებიც ღირსეულნი არიან.

**რედაქცია:** როგორ აფასებთ ქართველი მოჭადრაკეების თამაშს?

**გარკუნოვი:** ქართველი მოჭადრაკე ქალები დიდ საიმედო ძალას წარმოადგენენ. მაგრამ ამ ჩემპიონატში მხოლოდ ნ. გაფრინდაშვილმა და დებიუტანტმა ა. ჩაიკოვსკაიამ შეძლეს თავისი უნარის მთლიანად გამოვლინება. სამწუხაროდ, მ. ტოგონიძე და ე. კაკაბაძე ვერ იყვნენ თავიანთ ჩვეულ სპორტულ ფორმაში და ამიტომაც შედეგი სრულებით ვერ გამოხატავს მათ ნამდვილ საჭადრაკო ძალას.

**რედაქცია:** გვთხოვეს გულშემატკივრებმა გავიგოთ (რაც ჩვენც ძალიან გვაინტერესებს) მისცემენ თუ არა ნ. გაფრინდაშვილს სპორტის ოსტატობას?

**გარკუნოვი:** დებულებაში სწერია, რომ ოსტატობა ეძლევა მხოლოდ პირველ-მეორე ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეებს. ნონამ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს ფაქტიურად მეორეა, ვინაიდან კ. ზვორიკინამ და ლ. ვოლპერტმა გაიყვეს პირველი. საკავშირო საჭადრაკო სექცია განიხილავს ჩემპიონატის შედეგებს და დარწმუნებული ვარ გაითვალისწინებს ჩემპიონატის ძლიერ შემადგენლობას, ნონას 17 წელს, მის უაღრესად ნიჭიერ თამაშს და, ვფიქრობ, მიანიჭებს მას ოსტატის წოდებას.

გთხოვთ გადაცეთ საქართველოს ჭადრაკის მოყვარულებს ჩემი მოლოცვა ნ. გაფრინდაშვილის დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით.

ვაქვეყნებთ ჩემპიონატის სხვადასხვა ტურში გადაღებულ სურათებს.

პირველ სურათზე ა. ჩაიკოვსკაია ეთამაშება ვ. ბორისენკოს. მეორეზე აღბეჭდილი არიან მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა და საქართველოს ჩემპიონი მ. ტოგონიძე (მარცხნივ) თამაშის დროს, ხოლო მესამეზე — მოლდავეთის ჩემპიონის ბ. გოიჰენბერგისა და ე. კაკაბაძის შეხვედრა.

ფოტო ე. პარმეტისა.

# კალათბურთი

## გათამაშების ცხრილები

### ქალები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკიფი ლენინგ. | 6 | 5 | 1 | 5 |
| ტტტ რიგა | 4 | 4 | 0 | 4 |
| „სერპ ი მოლოტ" მ. | 3 | 3 | 0 | 3 |
| უსკა ტარტუ | 5 | 3 | 2 | 3 |
| ელზ მოსკოვი | 3 | 2 | 1 | 2 |
| ლეტი ლენინგ. | 5 | 2 | 3 | 2 |
| „დინამო" მოსკოვი | 3 | 1 | 2 | 1 |
| სკვო ლენინგრადი | 5 | 1 | 4 | 1 |
| კპი კაუნასი | 4 | 1 | 3 | 1 |
| ოდესა | 1 | 0 | 1 | 0 |
| სპი თბილისი | 2 | 0 | 2 | 0 |
| მაი მოსკოვი | 3 | 0 | 3 | 0 |

### ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკიფი კაუნასი | 4 | 4 | 0 | 4 |
| „დინამო" თბილისი | 3 | 3 | 0 | 3 |
| სკიფი კიევი | 4 | 3 | 1 | 3 |
| ვეფ რიგა | 3 | 2 | 1 | 2 |
| ლეტი ლენინგრადი | 4 | 2 | 2 | 2 |
| სკვო რიგა | 1 | 1 | 0 | 1 |
| „დინამო" მოსკოვი | 2 | 1 | 1 | 1 |
| „სპარტაკი" ლენინგ. | 2 | 1 | 1 | 1 |
| სპი თბილისი | 3 | 1 | 2 | 1 |
| ცსკმო | 2 | 0 | 2 | 0 |
| სკიფი ალმა-ატა | 3 | 0 | 3 | 0 |
| ტპი ტალინი | 5 | 0 | 5 | 0 |

* * *

### ქალები

**20 დეკემბერი. ლენინგრადი.** ადგილობრივმა ლეტიმ დაამარცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 49:45.

**21 დეკემბერი, რიგა.** რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტმა მოუგო შეხვედრა ლენინგრადის სკვო-ს — 61:42.

**21 დეკემბერი, კაუნასი.** კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა მოიპოვა პირველი გამარჯვება ოდესის გუნდზე — 53:48.

**22 დეკემბერი, ლენინგრადი.** ადგილობრივმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი — 70:46.

### ვაჟები

**21 დეკემბერი, მოსკოვი.** დედაქალაქის „დინამომ" ანგარიშით 63:60 მოუგო შეხვედრა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს.

**21 დეკემბერი, კაუნასი.** ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა ალმა-ატის სკიფი — 77:46.

## შეიკრიბებიან ლიუცერნში

როგორც ცნობილია, ევროპის 1959 წლის პირველობა კრივში გაიმართება შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში. ამას წინათ საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინა და კრივის მოყვარულთა საერთაშორისო ასოციაციას წარუდგინა შეჯიბრების ჩატარების შემდეგი პროგრამა:

შეჯიბრება გაიხსნება 23 მაისს. 24-26 მაისს (დილას და საღამოს) ჩატარდება შერჩევითი ბრძოლები; 27 მაისს — მეოთხედფინალების პირველი სერია, რის შემდეგ სპორტსმენებს დასვენებისა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად ეძლევათ ერთი დღე, 29 მაისს (როგორც დილით, ისე საღამოთი) გაიმართება მეორე და მესამე მეოთხედფინალები. 30 მაისს შედგება ნახევარფინალური, ხოლო 31 მაისს — ფინალური შეჯიბრებები.

**გორი.** პედინსტიტუტში გაიმართა ფაკულტეტებს შორის შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს შ. ბექაურმა, ნ. ნავროზაშვილმა, შ. გიგოლაშვილმა, ბ. მაისურაძემ, შ. რომელაშვილმა, ა. ოდიშვილმა, თ. ზარიძემ, ა. ბერიძემ.

**ნ. ნებიერიძე**

* * *

**სიღნაღი.** მოეწყო მოსწავლეთა სარაიონო პირველობა კალათბურთში. ჭაბუკებში გაიმარჯვეს მაჩხაანის კალათბურთელებმა, გოგონებს შორის კი უძლიერესი გამოდგა ვაქირის საშუალო სკოლის გუნდი.

## სპორტული ქრონიკა

ამას წინათ ჩატარდა კოლმეურნე გუნდების სარაიონო პირველობა კალათბურთში. პირველი ადგილი დაიკავა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივმა.

**ნ. მღებრიშვილი**

* * *

**ხაშური.** ნორჩ მძლეოსანთა რაიონულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ხაშურის I საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის უძლიერესი კოლექტივი წარმოადგინა ხაშურის III საშუალო სკოლამ. პირველი ადგილები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში დაისაკუთრეს ს. ლაცაბიძემ, ნ. ტალახაძემ, ც. ხაჩიძემ, ც. ღამბაშიძემ, ნ. შუბითიძემ და სხვ.

**შ. ლურსმანაშვილი**

* * *

**ქუთაისი.** სამთო, სატყეო-ტექნიკური და ავტოტექნიკუმების სპორტსმენებმა ამას წინათ გაითამაშეს პირველობა ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. სატყეო ტექნიკუმის მოჭიდავეები უძლიერესნი იყვნენ ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო ავტოტექნიკუმის წარმომადგენლები — კლასიკურ ჭიდაობაში.

**გ. სახელაშვილი**

## ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა თავისუფალ ჭიდაობაში ა. ბურდულს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), ზ. მეშველიანს, მ. კილასონიას (ორივე თბილისი, „განთიადი"), პ. კარიჭაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ხ. ყორაევს (სტალინირი, „კოლმეურნე"), ზ. მონასელიძეს (მცხეთა, „კოლმეურნე"), ა. დათეშიძეს და ე. ერგემლიძეს (ორივე ქუთაისი, „სპარტაკი"), კლასიკურ ჭიდაობაში ტ. კარიჭაშვილს (გორი, „ბურევესტნიკი"), ჭადრაკში ნ. სოროკინს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ნიჩბოსნობაში ვ. საზონოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), კალათბურთში ვ. უგრეხელიძეს და ვ. ალტაბაევს (ორივე თბილისი, „დინამო").

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა მძლეოსნობაში: ა. ხუციშვილს, ა. ათაბეგოვს, ლ. ჩერნიშოვს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი"), ნ. ტიშინას (თბილისი, „განთიადი"), მხატვრულ ტანვარჯიშში ნ. ბარათაშვილს (თბილისი, „განთიადი"), ფრენბურთში ნ. ზიხს (თბილისი, „განთიადი"), ნიჩბოსნობაში ი. კაპანაძეს (მცხეთა, „განთიადი").

**რედაქტორი ი. უგულავა.**

### ესპანეთი

გაიმართა ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრები. ორი დამარცხება ზედიზედ განიცადა მადრიდის „ატლეტიკომ". ჯერ მან წააგო მატჩი „რეალთან" — 0:5, შემდეგ ასეთივე ანგარიშით ბარსელონის „ატლეტიკოსთან". „რეალმა" ფრედ დაამთავრა შეხვედრა ბილბაოს „ატლეტიკოსთან" (0:0). სატურნირო ცხრილში მდგომარეობა XIV ტურისათვის ასეთია: მადრიდის „რეალი" — 24 ქულა, ბარსელონა — 22 ქულა, ბეტისი და ბილბაოს „ატლეტიკო" — 18-18 ქულა, მადრიდის „ატლეტიკო" — 17 ქულა, ვალენსია — 15 ქულა.

* * *

### ინგლისი

XXI ტურის შეხვედრათა შედეგები ასეთია: „არსენალი"-„ასტონ ვილა" — 1:2, „ბირმინგჰამი"-„ბლეკპული" — 4:2, „ბოლტონ უონდერერსი"-„ნიუკასლი"—1:1, „ევერტონი"-„პორტსმუტი" — 2:1, „ლესტერ სიტი"-„ვულვერჰემპტონი" — 1:0, „პრესტონი"-„მანჩესტერ იუნაიტედი" — 3:4, „ვესტ ბრომვიჩი"-„ჩელსი" — 4:0.

გათამაშების ცხრილი XXI ტურის შემდეგ ასე გამოიყურება: „ვესტ ბრომვიჩი", „არსენალი", „ბოლტონი"—27-27 ქულა, „ვულვერჰემპტონი", „პრესტონი" — 26 ქულა. „ნოტინჰემი", „ბლეკბერნი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბლეკპული"—23-23 ქულა, „ნიუკასლი" — 22 ქულა.

## მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე

* * *

### ურუგვაი

ჩემპიონატის XIV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი „ნასიონალი" და აუტსაიდერი „ფენიქსი". თამაში დამთავრდა ფეხბურთისათვის საკმაოდ უცნაური შედეგით — 8:7 „ნასიონალის" სასარგებლოდ. „სიუდ ამერიკამ" დაამარცხა ჩემპიონატის მეორე ლიდერი „პენაროლი" — 2:1. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „დეფენსორი"-„უონდერერსი" — 2:2, „ლივერპული"-„დანუბიო" — 1:1, „რამპლა იუნიორსი"-„სერო" — 0:0.

გათამაშებას კვლავ „ნასიონალი" ლიდერობს, რომელსაც დაგროვილი აქვს 20 ქულა. შემდეგ მოდიან „პენაროლი" (18), „რამპლა" (17), „სიუდ ამერიკა"—(16), „ლივერპული", „უონდერერსი" (15-15), „სერო" — (12) და ა. შ.

## „მარათონული ჩოგბურთი"

ჩოგბურთის ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, რომელიც სან-რემოში ჩატარდა, ქალთა შეხვედრის დროს იტალიელმა დე-ვალერიომ და ინგლისელმა სტერუსიტმა ბურთი 374-ჯერ გადაისროლეს ბადეს იქეთ და აქეთ.

ამ მეტად ბრძოლისუნარიანი მანდილოსნებისაგან განსხვავებით არსებობს თამაშის უმცირეს დროში ჩატარების „რეკორდი", რომელიც ვაჟებს ეკუთვნის. კერძოდ, ამერიკელმა ვილიამსონმა სულ ხუთიოდე წუთში ანგარიშით 6:0 მოუგო ცნობილ ჩოგბურთელ ტილდენს.

ამ „რეკორდის" გაუმჯობესება, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ის, რაც 1920 წელს მოხდა ჩოგბურთელთა ტურნირზე ამსტერდამში, ჯერჯერობით გადაულახავია. თამაშობდნენ ცერლენდი (იტალია) და გორდონ ლოუ (ინგლისი). მატჩი გრძელდებოდა ექვს საათს, რის შემდეგ... გადაიდო. მეორე დღეს თამაში განახლდა, მაგრამ 13 საათისათვის დაუმთავრებელი დარჩა. 45-წუთიანი შესვენების შემდეგ (სადილისათვის) თამაში გაგრძელდა. გავიდა ერთი, ორი, სამი, ოთხი საათი. ინგლისელმა დიდი წვალების შემდეგ გაიმარჯვა. თამაში 17 საათს გაგრძელდა!

ბაკურიანში 27 28 დეკემბერი

სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე. მონაწილეობენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები.


დღეს



თბილისი, სახელმწიფო ცირკი

ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის

დასაწყისი 20 საათზე.


26 დეკემბერს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის საჯარო სხდომაზე მოსმენილ იქნება საანგარიშო მოხსენება:

„ლენინის პიკზე ასვლა". მომხსენებელი ს. ხაბეიშვილი და „კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული ჯგუფების ასვლები" მომხსენებელი ა. ძიძიგური.

დასაწყისი 20 საათზე.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3 89-69. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07276